„ახალგაზრდა ადვოკატები“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

„ახალგაზრდა ადვოკატები“

წ ე ს დ ე ბ ა

(2018 წლის 27 დეკემბრის მდგომარეობით)

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

თბილისი

2018

თავი 1

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. ორგანიზაცია - „ახალგაზრდა ადვოკატები“ (შემდგომში - ორგანიზაცია) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - აპოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, ამ წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად.

2. ორგანიზაციის სახელწოდება არის:

ქართულად: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ახალგაზრდა ადვოკატები“;

ინგლისურად: Non profit entity “Young Barristers”

3. ორგანიზაციას აქვს საკუთარი ლოგო, ბეჭედი, საფირმო სახელწოდება და სხვა ატრიბუტიკა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ამ წესდებასა და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.

4.ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“.

მუხლი 2

1.ორგანიზაციის იურიდიული მისამართი:

საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. კორპ. 3 ბ. 32

2.ორგანიზაციის ფაქტობრივი მისამართი:

საქართველო, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. # 36

3.ორგანიზაციის ოფიციალური ელექტრონული მისამართია:

pryoungbarristers@gmail.com

pryoungbarristers@yahoo.com

4.ორგანიზაციის საკონტაქტო ტელეფონი:

+ 995 593 78 88 81

5.ორგანიზაციის ვებ-გვერდის მისამართია:

www.barristers.ge

თავი 2

მიზნები და საქმიანობა

მუხლი 3

ორგანიზაციის მიზნებია:

1. საქართველოში დემოკრატიის, სამართლიანობის, კანონის უზენაესობის დამკვიდრება;

2. საზოგადოების სამოქალაქო უფლებებისა და სამართალ შეგნების ამაღლება;

3. ადამიანის ღირსების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

4. ღია მმართველობის უზრუნველყოფა;

5. იურიდიული მომსახურება, სამართალწარმოება სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საქმეებზე.

მუხლი 4

საქმიანობის ფორმები

1. ორგანიზაციას უფლება აქვს დააფუძნოს ფილიალები, წარმომადგენლობები, განყოფილებები და სხვა სტრუქტურული ერთეულები. იყოს სხვა საზოგადოებების, ასოციაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი/პარტნიორი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებს, მოქმედ კანონმდებლობას და ამ წესდებას.

2. ორგანიზაციას უფლება აქვს თავისი სახელით დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ, მოპასუხედ ან მესამე პირად.

3. ორგანიზაციას შესაძლოა გააჩნდეს დამოუკიდებელი ბალანსი, იქონიოს საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტო ანგარიშები) საქართველოსა და უცხოეთის საბანკო დაწესებულებებში.

4. ორგანიზაცია დასახული მიზნების მისაღწევად:

ა) აქტიურად მონაწილეობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, სამართლებრივი, პოლიტიკური საკითხების განხილვაში, წარადგენს შეფასებებსა და განცხადებებს;

ბ) შეიმუშავებს ინიციატივებს, მიმართვებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და ახორციელებს მათ ლობირებას. ზრდის მოქალაქეების ჩართულობას ღია მმართველობის განხორციელების პროცესში;

გ) ამზადებს დამოუკიდებელ კვლევებს, დასკვნებს, პროექტებს, ანგარიშებს. გამოსცემს სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საინფორმაციო დაიჯესტებს;

დ) ახორციელებს აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესწავლას და მონიტორინგს;

ე) უზრუნველყოფს მოქალაქეების ინტერესების დაცვას და წარმომადგენლობას ყველა დონეზე, მათ შორის საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოებთან, სასამართლო ინსტანციებში, კერძო და საერთაშორისო არბიტრაჟში;

ვ) ხელს უწყობს სამოქალაქო კამპანიების ჩატარებას, სამართლისა და ადამიანის უფლებების მიმართ მოსახლეობის ინფორმირებას და ჩართულობას, დაცვის ინსტიტუტის პოპულარიზაციას;

ზ) ორგანიზებას უწევს კონფერენციების, სემინარების, ტრენინგებისა და მრგვალი მაგიდების ჩატარებას, თანამშრომლობს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, ექსპერტებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ ჯგუფებთან და გაერთიანებებთან;

თ) ახორციელებს არჩევნების სადამკვირვებლო უფლებამოსილებას და უზრუნველყოფს ამომრჩევლის ინფორმირებას პროცესში. მონაწილეობს არჩევნების საერთაშორისო მისიაში;

ი) მუშაობს სახელმწიფო უსაფრთხოების, ევროინტეგრაციის პროცესისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მნიშვნელობის შესახებ მოქალაქეების ცნობიერების ამაღლების საკითხებზე;

კ) ახდენს ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირებას, ახალგაზრდების და ახალგაზრდული ორგანიზაციების დაახლოებას საერთო პრინციპებისა და ინტერესების განვითარებისთვის, უზრუნველყოფს სახელმწიფოსთან ახალგაზრდების სტრუქტურულ დიალოგს, განათლების სისტემის კვლევას და ბოლონიის პროცესის მხარდაჭერას;

ლ) ახორციელებს სტრატეგიულ სამართალწარმოებას ადგილნაცვალი პირების, ეთნიკური უმცირესობებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით, ამზადებს ინიციატივებს მათი სოციალური ინტეგრირებისა და სამოქალაქო სტატუსის ამაღლებისთვის.

მ) ეწევა ისეთი სახის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსს, ქმნის ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მხარს უჭერს სოციალური მეწარმეობის განვითარებას;

ნ) ქმნის საგანმანათლებლო ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს ტრენინგების, სემინარების, სალექციო კურსის ჩატარებას, შეიმუშავებს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამებს;

კ) უფლება აქვს საკუთარი ლოგო და სხვა ატრიბუტიკა, გადასცეს თანასარგებლობაში მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს;

ო) ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით, შეესაბამება ამ წესდებას, არ ცვლის ორგანიზაციის, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსს და მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისკენ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

თავი 3

მმართველი ორგანოები

მუხლი 5

სადამფუძნებლო საბჭო

1. სადამფუძნებლო საბჭო არის მუდმივმოქმედი, ორგანიზაციის ორგანო, რომელიც შედგება ორგანიზაციის დამფუძნებლებისაგან. სადამფუძნებლო საბჭოს წევრი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

2.სადამფუძნებლო საბჭო:

ა) ამტკიცებს ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და საბიუჯეტო პარამეტრებს;

ბ) ამტკიცებს ორგანიზაციის ბიუჯეტს;

გ) ხელმძღვანელის წარდგინებით, ირჩევს საკონსულტაციო საბჭოს წევრს/ამტკიცებს მის შემადგენლობას;

დ) ამტკიცებს ორგანიზაციის შინაგანაწესს, დებულებებს, სახელმძღვანელო ინსტრუქციას;

ე) ამტკიცებს წესდებაში ცვლილებებსა და დამატებებს, რომლის რეგისტრაციასაც ახორციელებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი;

ვ) იღებს გადაწყვეტილებას იურიდიული პირის დაფუძნების საკითხთან დაკავშირებით;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, ისმენს ორგანიზაციის ნებისმიერი თანამშრომლის, პროგრამების/პროექტების მენეჯერ(ებ)ის, ორგანიზაციის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ის, ორგანიზაციის ფილიალ(ებ)ის ანგარიშ(ებ)ს;

თ) წყვეტს სადამფუძნებლო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერებისა ან შეწყვეტის საკითხს;

ი) ირჩევს ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ისმენს მისი საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს;

კ) იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის კუთვნილი ლოგოს, ბეჭედისა და სხვა ატრიბუტიკის, მესამე პირისთვის თანასარგებლობაში გადაცემის შესახებ;

ლ) უფლებამოსილია ორგანიზაციის ხელმძღვანელის სათათბირო ხმის უფლების გარეშე, ხმათა სრული უმრავლესობით, გააუქმოს ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილება, თუ აღნიშნული ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს;

მ) იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის რეორგანიზაცია/ლიკვიდაციასთან დაკავშირებით;

3. სადამფუძნებლო საბჭოს კრება იმართება ორგანიზაციის ხელმძღვანელის, კაბინეტის ან/და საბჭოს წევრთა არანაკლებ 2/3 მოთხოვნით, რომლის სხდომებს ხელმძღვანელობს ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

4. სადამფუძნებლო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს წევრთა არანაკლებ 2/3. განხილული საკითხები აისახება საბჭოს ოქმში, რომელსაც ხელს

აწერენ საბჭოს წევრები, ხოლო საბჭოს წევრის მიერ ხელმოწერისაგან თავის შეკავების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ოქმში კეთდება ჩანაწერი.

5. სადამფუძნებლო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერება შესაძლებელია:

ა) პირადი განცხადებით;

ბ) ერთ-ერთი დამფუძნებლის ინიციატივით, თუ სადამფუძნებლო საბჭოს ის წევრი, რომლის უფლებამოსილების შეჩერების საკითხიც დადგება, გახდება პოლიტიკური თანამდებობის პირი ან შრომით საქმიანობას დაიწყებს, როგორც საჯარო მოხელე.

გ) საკუთარი განცხადების ან/და ერთ-ერთი დამფუძნებლის ინიციატივით, თუ ადგილი ექნება ამავე წესდების მე-9 მუხლით გათვალისწინებულ ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევას.

6. სადამფუძნებლო საბჭოს წევრს უფლებამოსილება შესაძლებელია შეუჩერდეს განსაზღვრული ან/და განუსაზღვრელი ვადით.

7. სადამფუძნებლო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა შესაძლებელია:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

გ) თავისი ქმედებით, ლახავს ორგანიზაციის ღირსებას, ეწინააღმდეგება წესდებას, საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებს;

დ) ორგანიზაციის მიზნებიდან და ამოცანებიდან, საქმიანობასთან დაკავშირებით, აქვს მკვეთრად განსხვავებული ხედვა;

ე) გარდაიცვალა.

8. სადამფუძნებლო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების ან/და შეწყვეტის შესახებ (მისი სათათბირო ხმის უფლების გარეშე) გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელთა საბჭო არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით;

9. სადამფუძნებლო საბჭოს ნახევარზე მეტი ხმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სადამფუძნებლო საბჭოს თანაბარუფლებიანი წევრი, შეიძლება გახდეს სხვა ფიზიკური პირი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ამ წესდებით გათვალისწინებულ პირობებს, მისი არასამეწარმეო იურიდიულ პირთა მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან;

10. **სადამფუძნებლო საბჭოს წევრები არიან:**

არჩილ კაიკაციშვილი (პ/ნ 61004016408)

მარიამ ასანიშვილი (პ/ნ 01017034838)

მარიკა არევაძე (პ/ნ 01030032043) (უფლებამოსილება შეჩერებულია 27.12.18 წლიდან)

თინათინ ნიბლოშვილი (პ/ნ01030036320) (უფლებამოსილება შეჩერებულია 28.01.15 წლიდან)

მუხლი 6

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

1. ორგანიზაციის სრულ მმართველობით უფლებამოსილებას, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან ურთიერთობაში, ერთპიროვნულად ახორციელებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს ერთ-ერთი დამფუძნებელი ან/და სადამფუძნებლო საბჭოს მიერ ნდობა გამოცხადებული კაბინეტის წევრი.

2. სადამფუძნებლო საბჭოს გადაწყვეტილებით, ორგანიზაციის ხელმძღვანელი აირჩევა 2 (ორი) წლის ვადით. ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, სადამფუძნებლო საბჭო ირჩევს ახალ ხელმძღვანელს ახალი უფლებამოსილების ვადით.

3. ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს ორგანიზაციის საქმიანობას წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად; გადასცემს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებას სადამფუძნებლო საბჭოს/კაბინეტის წევრს;

ბ) კოორდინირებას უწევს სადამფუძნებლო საბჭოს საქმიანობას;

გ) ერთპიროვნულად წარმოადგენს ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

დ) სადამფუძნებლო საბჭოს წარუდგენს წინადადებას ორგანიზაციის კონკრეტული მიზნით შექმნილ კოალიციებში გაერთიანების საკითხის შესახებ;

ე) სადამფუძნებლო საბჭოს წარუდგენს ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმას, საბიუჯეტო პარამეტრებსა და მომავალი წლის ბიუჯეტს;

ვ) ზედამხედველობს ორგანიზაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას; განკარგავს ორგანიზაციის ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას;

ზ) ამტკიცებს განსახორციელებელი პროგრამების პროექტებს;

თ) ორგანიზაციის სახელით აწარმოებს მოლაპარაკებებს, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს;

ი) ხელს აწერს ორგანიზაციის ყველა ოფიციალურ დოკუმენტს;

კ) სადამფუძნებლო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ორგანიზაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას;

ლ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

მ) ქმნის კაბინეტს;

ნ) ნიშნავს და ათავისუფლებს ორგანიზაციის თანამშრომლებს; ადგენს თანამშრომლებთან სამუშაო აღწერილობას, რომელიც გამომდინარეობს საორგანიზაციო საქმიანობიდან;

ო) წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება სადამფუძნებლო საბჭოს კომპეტენციას.

4. ორგანიზაციის ხელმძღვანელი წარმართავს და განსაზღვარვს ორგანიზაციის საქმიანობას და ანგარიშვალდებულია სადამფუძნებლო საბჭოს წინაშე.

5. ორგანიზაციის ხელმძღვანელის არ ყოფნის/მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს სადამფუძნებლო საბჭოს ან კაბინეტის წევრი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის დავალებით.

თავი 4

კაბინეტი

მუხლი 7

1. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანიზაციის საქმიანობის, უწყვეტობის, ჩართულობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ქმნის კაბინეტს (გუნდს), რომელიც წარმოადგენს ხელმძღვანელის სათათბირო ორგანოს.

2. ორგანიზაციის ხელმძღვანელის კაბინეტი (გუნდი) შედგება ორგანიზაციის თანამშრომლებისგან, რომელიც უზრუნველყოფს წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას, იმპლემენტაციასა და სტრატეგიის წარმართვას;

3. კაბინეტს აკომპლექტებს ორგანიზაციის ხელმძღვანლი.

4. კაბინეტის (გუნდის) მუშაობა, შეკრების პერიოდულობა, პასუხისმგებლობა და ანგარიშვალებულება განისაზღვრება ორგანიზაციის შინაგანაწესით.

თავი 5

საკონსულტაციო საბჭო

მუხლი 8

1. ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, იქმნება საკონსულტაციო საბჭო, რომელიც ფორმირდება მოქმედი ადვოკატების, კვალიფიციური იურისტების ან/და სხვა დარგის ექსპერტების შემადგენლობით. საკონსულტაციო საბჭოს წევრს/შემადგენლობას ამტკიცებს სადამფუძნებლო საბჭო.

2. საკონსულტაციო საბჭო თავის მუშაობას წარმართავს სამუშაო შეხვედრების სახით;

3. საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილება ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი აქტი;

4. საკონსულტაციო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს იმავდროულად ორგანიზაციის სადამფუძნებლო საბჭოს/კაბინეტის წევრი;

5. საკონსულტაციო საბჭო არ არის ანგარიშვალდებული ვინმეს წინაშე, იგი არ გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში ორგანიზაციის სახელით და არ სარგებლობს ხმის უფლებით;

6. საკონსულტაციო საბჭოს უფლებამოსილება, მისი წევრების საქმიანობა რეგულირდება საკონსულტაციო საბჭოს რეგლამენტით.

თავი 6

ინტერესთა კონფლიქტი

მუხლი 9

1. ორგანიზაციის ხელმძღვანელი, სადამფუძნებლო საბჭოს წევრი, კაბინეტის წევრი, არ შეიძლება იმავდროულად იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი ან საჯარო მოხელე.

2. სადამფუძნებლო საბჭოს გადაწყვეტილებით, სხვა კომერციულ ან/და არასამერწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში საქმიანობა, შესაძლებელია გახდეს ორგანიზაციის კაბინეტის წევრად ყოფნის ან ორგანიზაციაში თანამშრომლის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

3. აღნიშნული წესი არ ვრცელდება სამეცნიერო ან/და სალექციო/პედაგოგიური საქმინობის განხორციელების დროს;

4. ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში, მე-5 მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სადამფუძნებლო საბჭო.

თავი 7

ორგანიზაციის ქონება

მუხლი 10

1. ორგანიზაციას შეიძლება გააჩნდეს ნებისმიერი სანივთო უფლება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ, სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებულ ნებისმიერ ქონებაზე.

2.ორგანიზაციის ქონება იქმნება პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

3.ორგანიზაციის შემოსავლები უნდა მოხმარდეს მხოლოდ ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

თავი 8

რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 11

1. დაუშვებელია ორგანიზაციის გარდაქმნა სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის სამეწარმეო იურიდიულ პირად;

2. ორგანიზაციის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება სადამფუძნებლო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამ წესდებისა და მიმდინარე კანონმდებლობის შესაბამისად;

3. ლიკვიდაციის შემდეგ ორგანიზაციის დარჩენილ ქონებაზე უფლებამოსილ პირთა წრეს განსაზღვრავს და კანონმდებლობის შესაბამისად, მისი გასხვისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სადამფუძნებლო საბჭო არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით.

4. დარჩენილი ქონება შეიძლება გადაეცეს იმავე, ან მსგავსი მიზნების სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი 9

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 12

1. აღნიშნული წესდება წარმოადგენს ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტს, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, რომელთან შესაბამისობაშიც უნდა მოდიოდეს ორგანიზაციის ნებისმიერი სამართლებრივი აქტი.

2. აღნიშნული წესდება ძალაში შედის მისი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციისთანავე.

3. რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციას (სადამფუძნებლო საბჭოს მიერ ცვლილების შეტანისა და დამტკიცების შემდეგ) ახორციელებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

„ახალგაზრდა ადვოკატები“-ს დამფუძნებლები:

არჩილ კაიკაციშვილი *(პ/ნ 61004016408)*

მარიამ ასანიშვილი *(პ/ნ 01017034838)*

მარიკა არევაძე *(პ/ნ 01030032043) (უფლებამოსილება შეჩერებულია განუსაზღვრელი ვადით 27.12.18 წლიდან)*

თინათინ ნიბლოშვილი *(პ/ნ01030036320) (უფლებამოსილება შეჩერებულია განუსაზღვრელი ვადით 28.01.15 წლიდან)*